ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№ CMR-210703

ქ. თბილისი

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ნოზაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გრილთბილ სერვისი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის თეონა კვირიკაშვილის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,
ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს სარგებლობაში არსებულ შენობებში დამონტაჟებული კედლის კონდიციონერების (შესაკეთებელი კონდენციონერების ჩამონათვალი მოცემულია ხელშეკრულების დანართ N2-ში) შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (კლასიფიკატორის კოდი: 50730000 - გამაგრილებელი ჯგუფების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება).

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების ზუსტი აღწერა და ერთეულის ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში (მომსახურების პრეისკურანტი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 პრეისკურანტის ღირებულებაა 8576.90 (რვა ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი ლარი და 90 თეთრი) ლარი, ერთეულის ფასები მოცემულია დანართ N1-ში (მომსახურების პრეისკურანტი) და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 4500.00 (ოთხი ათას ხუთასი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.

2.4 თუ მომსახურების პროცესში აღმოჩნდება რომ საჭიროა ისეთი მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილის მიწოდება, რომლის ფასიც განსაზღვრული არ არის დანართი N1-ით, ასეთ შემთხვევაში მხარეები იხელმძღვანელებენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-15[1] მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

2.5 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და მოქმედებს 2024 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

3.მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2023 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის საჭიროების და მოთხოვნის შესაბამისად.

3.2 მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს შემდეგ მისამართებზე: ქ.თბილისი, მედეა (მზია) ჯუღელის ქ. N1; სამღერეთის ქ. N3; თბილისის ზღვა (სანატორიუმ ქართლის მიმდებარედ); სიმონ ჩიქოვანის ქ. N 34/36; ახვლედიანის ქ. მე-2 შესახვევი N4; რიყის პარკი; მელიქიშვილის ქ. N1; თალჭრელიძის ქ N1 შესახვევი N25; ილია ჭავჭავაძის გამზ N76;

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია უზრუნველყოს კონდიციონერ(ებ)ის სერვის ცენტრში ტრანსპორტირება, რაზეც უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი.

3.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურება შეისყიდოს მხოლოდ მისი საჭიროების შესაბამისი მოცულობით.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს კონდიციონერ(ებ)ის დათვალიერება (შემოწმება) და ამავე ვადაში დეფექტური აქტის შედგენა და შემსყიდველის წარმომადგენლისთვის მისი გაცნობა (უზრუნველყოს ფიზიკურად გაცნობა ან შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე/მისამართებზე გამოგზავნა: giorgi.rukhadze15@gmail.com ; ან/და nino.taktakishvili91@gmail.com ან/და gigijokhadze11@gmail.com). შემსყიდველის თანხმობის გარეშე (დეფექტური აქტის ხელმოწერის გარეშე ან ამ პუნქტში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან თანხმობის მიღების გარეშე) კონდიციონერ(ებ)ის შეკეთების შემთხვევაში, კომპანია იტოვებს უფლებას, არ აუნაზღაუროს მომწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;

3.5 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უზრუნველყოს კონდიციონერ(ებ)ის შეკეთება შემსყიდველის თანხმობიდან (დეფექტური აქტის ხელმოწერიდან ან 3.4 პუნქტში მითითებული ერთ-ერთი ელექტრონული ფოსტიდან მიღებული თანხმობიდან) არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში (დეფიციტური ნაწილის მიწოდების საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს შემსყიდველთან შეთანხმებით, რაც უნდა დაფიქსირდეს დეფექტურ აქტში).

3.6 მომსახურება მიმწოდებლის მიერ გაწეული უნდა იქნეს სრულად, საკუთარი მასალით/სათადარიგო ნაწილებით და საჭიროების შემთხვევაში კონდიციონერების ტრანსპორტირებით.

3.7 მიმწოდებელმა მომსახურების გაწევის პერიოდში უნდა გამოიყენოს ახალი ექსპლუატაციაში არ მყოფი მასალა/სათადარიგო ნაწილები.

3.8 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მისი ბრალეულობით შემსყიდველისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურება.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება რომ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად გაწეული მომსახურება ან/და შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდა წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

4.2 შეცვლილ სათადარიგო ნაწილებზე ვრცელდება გარანტია 6 (ექვსი) თვე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან;

4.3 საგარანტიო ვადის განმავლობაში შეცვლილი სათადარიგო ნაწილის დაზიანების/წუნდების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი/დაზიანება.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულების კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი რუხაძე ან/და შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს ლოჯისტიკის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი გიგი ჯოხაძე.

5.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირ(ებ)ის ფუნქციაა გაწეული მომსახურების ხარისხის, მიწოდების ვადების, საგარანტიო პირობების და სხვა კრიტერიუმების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრა.

6.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

6.2 მიმწოდებელმა მომსახურების გაწევამდე შემსყიდველს უნდა წარუდგინოს დეფექტური აქტი, ხოლო მომსახურების გაწევის შემდგომ გაფორმდება მომსახურების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი რუხაძე ან/და შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს ლოჯისტიკის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი გიგი ჯოხაძე.

7.ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს 2023 წლის სახსრებით.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის - ანგარიშსწორების მომენტში დღგს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ”მიმწოდებელს” დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ”მიმწოდებელი” ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, ”შემსყიდველი” იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს ”მიმწოდებელს” ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.6 ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს საქონლის ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ საქონლის მიწოდება არ არის განხორციელებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შესმსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საქონლის ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესმსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და საქონლის ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შესმსყიდველის სასარგებლოდ.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.5 ამ მუხლის 9.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებისგამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორად" არ ჩაითვლება ის გარემოებები, რომელიც უკვე დამდგარია და წინასწარაა ცნობილი მხარეებისთვის.

10.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გარემოება არ ჩაითვლება ფორს მაჟორულად.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეცვლის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

12.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ოფიციალური წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად და დამოწმებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

13.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>	<u>მიმწოდებელი:</u>
შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი" მის: ქ. თბილისი, მედეა (მზია) ჯუღელის ქუჩა N1 ელ-ფოსტა:info@ecosg.gov.ge სს ,,თიბისი ბანკი" კოდი: TBCBGE22 ა/ა № GE12TB7448434020100001 ს/კ 404553666 Vakhtang Nozadze Digitally signed by Vakhtang Nozadze Date: 2023.07.21 14:39:02 +04'00' _____ ვახტანგ ნოზაძე დირექტორი	შპს „გრილთბილ სერვისი" მის: ქ. თბილისი, ქარელის რაიონი, დ. აგარა, ალ. ყაზბეგის ქ., N6 სს ,,თიბისი ბანკი" კოდი: TBCBGE22 ა/ა № GE76TB7431736020100004 ს/კ 440891215 _____ თეონა კვირიკაშვილი დირექტორი

დანართი N1						
მომსახურების პრეისკურანტი						
N	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	დეტალების მასალების ღირებულება (ლარი)	მომსახურების ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	კონდესატორის შეცვლა 7000 btu/h	ცალი	1.00	40.00	35.00	75.00
2	კონდესატორის შეცვლა 9000 btu/h	ცალი	1.00	45.00	35.00	80.00
3	კონდესატორის შეცვლა 12000 btu/h	ცალი	1.00	40.00	45.00	85.00
4	კონდესატორის შეცვლა 18000 btu/h	ცალი	1.00	60.00	40.00	100.00
5	მართვის პლატის შეკეთება	ცალი	1.00	100.00	50.00	150.00
6	პლატის შეცვლა	ცალი	1.00	80.00	50.00	130.00
7	სოლენოიდის შეცვლა	ცალი	1.00	250.00	200.00	450.00
8	სალენოიდის კოჭის შეცვლა	ცალი	1.00	40.00	20.00	60.00
9	კომპრესორის თერმო დაჩიკის შეცვლა	ცალი	1.00	50.00	30.00	80.00
10	ტემპერატურის თერმო წყვილის შეცვლა	ცალი	1.00	50.00	20.00	70.00
11	სისტემის მილის შეცვლა (16მმ)	მეტრი	1.00	0.00	10.00	10.00
12	სისტემის მილის შეცვლა (12მმ)	მეტრი	1.00	0.00	10.00	10.00
13	სისტემის მილის შეცვლა (10მმ)	მეტრი	1.00	0.00	10.00	10.00
14	სისტემის მილის შეცვლა (6მმ)	მეტრი	1.00	0.00	10.00	10.00
15	სპლიტ სისტემის კონდენციონერის თითბერის ჭანჭიკის შეცვლა (16მმ)	მეტრი	1.00	80.00	40.00	120.00
16	სპლიტ სისტემის კონდენციონერის თითბერის ჭანჭიკის შეცვლა (12მმ)	მეტრი	1.00	50.00	30.00	80.00
17	სპლიტ სისტემის კონდენციონერის თითბერის ჭანჭიკის შეცვლა (10მმ)	მეტრი	1.00	40.00	30.00	70.00
18	სპლიტ სისტემის კონდენციონერის თითბერის ჭანჭიკის შეცვლა (6მმ)	მეტრი	1.00	35.00	15.00	50.00
19	მილის თბოიზოლაცია	მეტრი	1.00	2.20	50.00	52.20
20	მაკავშირებელი კაბელის მონტაჟი	მეტრი	1.00	2.20	70.00	72.20
21	დრენაჟის მილის მოწყობა	მეტრი	1.00	2.50	70.00	72.50
22	ძრავის გამშვები ავტომატის შეცვლა	ცალი	1.00	80.00	50.00	130.00
23	შიდა სითბური დამცავის შეცვლა	ცალი	1.00	30.00	30.00	60.00
24	პლატის ტრანსფორმატორის შეცვლა	ცალი	1.00	70.00	60.00	130.00
25	გარე ვინტილის (7000btu/h-9000btu/h- 12000btu/h) შეცვლა	ცალი	1.00	60.00	40.00	100.00
26	გარე ვინტილის (18000btu/h) შეცვლა	ცალი	1.00	60.00	60.00	120.00
27	სისტემაში გაჟონვის მოძებნა და ლიკვიდაცია (გაბზარული თითბერის დეტალები,მილის ყელის ხელახლა გაფართოვება,ქანჩით გადაჭერა და ა.შ)	ცალი	1.00	150.00	140.00	290.00
28	სისტემაში გაჟონვის მოძებნა და ლიკვიდაცია (პაიკით შეკეთება)	ცალი	1.00	40.00	40.00	80.00
29	სისტემის ვაკუუმიზაცია	ცალი	1.00	0.00	100.00	100.00

30	შიდა აგრეგატის ფრთის შეცვლა (7000btu/h-9000btu/h-12000btu/h)	ცალი	1.00	35.00	35.00	70.00
31	შიდა აგრეგატის ფრთის შეცვლა (18000btu/h)	ცალი	1.00	40.00	35.00	75.00
32	გარე აგრეგატის ფრთის შეცვლა 7000 btu/h-9000btu/h-12000 btu/h	ცალი	1.00	40.00	30.00	70.00
33	გარე აგრეგატის ფრთის შეცვლა (18000btu/h)	ცალი	1.00	45.00	30.00	75.00
34	შიდა აგრეგატის ძრავის შეცვლა (7000btu/h-9000btu/h-12000btu/h)	ცალი	1.00	60.00	60.00	120.00
35	შიდა აგრეგატის ძრავის შეცვლა (18000btu/h)	ცალი	1.00	70.00	70.00	140.00
36	გარე აგრეგატის ძრავის შეცვლა (7000btu/h-9000btu/h-12000btu/h)	ცალი	1.00	60.00	60.00	120.00
37	გარე აგრეგატის ძრავის შეცვლა (18000btu/h)	ცალი	1.00	70.00	70.00	140.00
38	ელექტრო კლაპანის, მაგნიტური გამშვების შეცვლა	ცალი	1.00	150.00	100.00	250.00
39	პულტი (უნივერსალური)	ცალი	1.00	30.00	0.00	30.00
40	კონდენციონერის საკიდი	წყვილი	1.00	35.00	0.00	35.00
41	ფრეონის დამატება R22	კგ	1.00	90.00	50.00	140.00
42	ფრეონის დამატება (R-407-410)	კგ	1.00	100.00	40.00	140.00
43	კონდენციონერის დემონტაჟი	ცალი	1.00	0.00	150.00	150.00
44	კონდენციონერის მონტაჟი	ცალი	1.00	0.00	160.00	160.00
45	კომპრესორის შეცვლა (7000btu/h)	ცალი	1.00	475.00	180.00	655.00
46	კომპრესორის შეცვლა (9000btu/h)	ცალი	1.00	500.00	200.00	700.00
47	კომპრესორის შეცვლა(12000btu/h)	ცალი	1.00	600.00	220.00	820.00
48	კომპრესორის შეცვლა(18000btu/h)	ცალი	1.00	720.00	280.00	1000.00
49	დრენაჟის ტუმბოს შეცვლა	ცალი	1.00	150.00	100.00	250.00
50	შიდა ბლოკის (ფილტრი, რადიატორი, ვენტილატორი) გაწმენდა სპეც. ხსნარით	ცალი	1.00	0.00	85.00	85.00
51	გარე ბლოკის გაწმენდა სპეც. ხსნარით	ცალი	1.00	0.00	70.00	70.00
52	დრენაჟის სისტემის რემონტი	ცალი	1.00	0.00	100.00	100.00
53	კონდიციონერის დიაგნოსტიკა	ცალი	1.00	0.00	85.00	85.00
54	ამწე კალათა	საათი	1.00	0.00	250.00	250.00
სულ პრეისკურანტის ღირებულება:						**8576.90**

დანართი N2	
შესაკეთებელი კონდენციონერის	
მარკა	**მოდელი**
HYUNDAI	ESAF-09HN1
	ESAF-12HN1
	ESAF-18HN1
LLUX	1290 H
	1890 H
BBFEA	070/071
TCL	TAC-09CHSA/LC
DAEWOO	DSB-1819LH
BOSCH	B1ZMA18002/02
MELING	CSH-09OB

<u>მოამზადა:</u>
შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს
ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტი:

ქრისტინა ჯანაშია - Kristina Janashia Digitally signed by Kristina Janashia Date: 2023.07.21 15:13:07 +04'00'

<u>შეთანხმებულია:</u>

Teona Kvirikashvili 43001038930 Digitally signed by Teona Kvirikashvili Date: 2023.07.25 14:03:53

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს
შესყიდვების მენეჯერი:

მალხაზ დავაძე - Malkhazi Davadze Digitally signed by Malkhazi Davadze Date: 2023.07.21 15:03:27 +04'00'

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს
ადმინისტრაციის უფროსი:

მალხაზ ლაბაძე - Malkhaz Labadze Digitally signed by Malkhaz Labadze Date: 2023.07.21 14:56:44 +04'00'